ქართული ენის მართლწერის ტესტი

ნიმუშები:

- მორფოლოგია

რომელ ვარიანტშია მოცემული სიტყვების სწორი დაწერილობა?

ა. ჩემს მიერ, ჩვენს შესახებ, ჩვენს ნაცვლად.

ბ. ჩვენსკენ, ჩვენს მარცხნივ, ჩვენს უკან.

გ. თქვენს გარშემო, თქვენს შორის, თქვენს ახლოს.

დ. თქვენ მიმართ, თქვენ გამო, თქვენ გვერდით.

- სინტაქსი

რომელ ვარიანტშია სინტაქსური შეცდომა?

ა. ყველა გაოცებული იყო, რადგან ამას არავინ ელოდა.

ბ. ყველა მოვიდა, რადგან ასეთ დროს მოუსვლელობა არ შეიძლებოდა.

გ. ყველა მოვიდა, რათა საკუთარი აზრი გამოეთქვა.

დ. ყველა დაბნეული იყო, რათა მომხდარი კარგად ვერც კი გაეანალიზებინა.

- ლექსიკა

გამოტოვებულ ადგილას ჩასასმელად აირჩიეთ კონტექსტისთვის შესაფერისი სიტყვა.

ადვოკატი უკმაყოფილო იყო იმით, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებას აკლდა ---------- დასაბუთება.

ა. სამართლებრივი

ბ. კანონიკური

გ. საკანონმდებლო

დ. ლეგალიზებული

- **პუნქტუაცია**

რომელ ვარიანტშია სასვენი ნიშნები სწორად დასმული?

ა. ცხადია ეს ხელმძღვანელის გადასაწყვეტია და შესაბამისად, მის პასუხს უნდა დაველოდოთ.

ბ. ცხადია, ეს ხელმძღვანელის გადასაწყვეტია და შესაბამისად, მის პასუხს უნდა დაველოდოთ.

გ. ცხადია ეს ხელმძღვანელის გადასაწყვეტია და შესაბამისად მის პასუხს უნდა დაველოდოთ.

დ. ცხადია, ეს ხელმძღვანელის გადასაწყვეტია და შესაბამისად მის პასუხს უნდა დაველოდოთ.

- **სტილი**

რომელ ვარიანტშია მოცემული სტილისტურად გამართული წინადადება?

ა. ავიაკომპანიამ ბოდიში გადაუხადა მგზავრებს ფრენების გაუქმებისთვის და მიზეზად უამინდობა დაასახელა.

ბ. კალათბურთელების ნაკრებმა ფინალურ თამაშში გამარჯვება დაისაკუთრა.

გ. სოფლის მოსახლეობა უკვე ერთი კვირაა ხორბლის მოსავალს იღებს.

დ. წიგნების მაღაზიაში სამეცნიერო ლიტერატურა მომავალი კვირიდან იქნება გაყიდვაში.

- **ტექსტის რედაქტირება**

აკაკის რამოდენიმე ცნობილი სურათი არსებობს.

მოცემულ წინადადებაში სიტყვას „რამოდენიმე“ არასწორი დაწერილობა აქვს, სწორი ფორმაა **„რამდენიმე“**.